მემკვიდრეობა

ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი სერგი დანელია 1915-1921 წლებში ს. დარიანის ფსევდონიმით აქვეყნებდა სტატიებს საქართველოს მიმდინარე პოლიტიკის შესახებ. სტატია „ქართველი ხალხის თანამედროვე მდგომარეობა“ 1915 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოში“, თუმცა ცენზურამ დაამახინჯა მისი შინაარსი და ავტორს საშუალება არ მისცა სრულად გადმოეცა თავისი თვალსაზრისი

სერგი დანელია

ქართველი ხალხის თანამედროვე მდგომარეობა

I

კაცობრიობის კულტურა საზოგადოებრივობის ზრდის ფუნქციაა. ეს არის ერთი ძირითადი რწმენათაგანი თანამედროვე სოციალი ფილოსოფიისა. ეს დებულება აპრიორულის სიცხადით გამომდინარეობს ცნება კულტურის ლოღიკურ ანალიზიდან, ხოლო აპოსტერიორულად მას მთელი რიგი ისტორიული ფაქტი ამოწმებს და ადასტურებს. ყოველგან, საცა კი ადგილი ჰქონია საზოგადოებრიობის ზრდას, უტყუარად კულტურის წინსვლასაც შეამჩნევთ. პირიქით, საზოგადოებრიობის დაქვეითება, მისი დეზორგანიზაცია მუდამ კულტურის დაქვეითებასთან ყოფილა დაკავშირებული.

თვით საზოგადოებრიობა ცვალებადი ოდნობაა. იგი ოდნობა იცვლება ჯერ ერთი საზოგადოების ნივთიერ საფუძვლის ცვლილებასთან ერთად და მერე იმ პრინციპების ცვლასთან ერთად, რომელიც საზოგადოების მოგვარების საქმეს განაგებს. საზოგადოების ნივთიერ საფუძვლად უნდა ვიგულისხმოთ მოსახლეობის რაოდენობა, მიწა-წყალი და საზოგადოების ქონებრივი სიმდიდრე საერთოდ. ხოლო საზოგადოების მომგვარებელ პრინციპად უნდა იგულისხმებოდეს ის სხვა და სხვა დასაბამი, განსაკუთრებით პსიხიური რიგისა, რომლის სახელით ადამიანები საზოგადოებად ეწყობიან. პირველია შინაარსი საზოგადოებრიობისა, მეორეა მისი ფორმა. რაც უფრო მდიდარია საზოგადოების ნივთიერი საფუძველი, მით, cacteri paribus, უფრო განვითარებული უნდა

იყვეს საზოადოებრიობა. იგივე უნდა ითქვას საზოგადოების მომგვარებელ ფორმალ დასაბამის შესახებაც. განვითარება თუ, წინააღმდეგ, დაკნინება ამ დასაბამისა იწვევს საზოგადოებრიობის გაძლიერებას ანუ დაკნინებას. საზოგადოების ნივთიერ საფუძვლის ცვლილებას ჩვენ აღვნიშნავთ „საზოგადოების ექსტენსიური ზრდის“ ტერმინით, ფორმალ მომგვარებელ დასაბამს კი „ინტენსიურ ზრდას“ ვუწოდებთ. საზოგადოების ექსტენსიური გაზრდის მაგალითი გვექნება, როდესაც ერთი რომელიმე ორგანიზაცია თავის გავლენის სფეროში მოიქცევს ადამიანების ახალ ჯგუფს. რომის ბატონობის გავრცელება ძველად მთელ განათლებულ ქვეყნისაგან ცნობილ ხალხებზე სწორედ ამ გვარი გაზრდის ნიმუშია. საზოგადოების ინტენსიური ზრდის მაგალითი გვექნება იმ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოების წევრები, დიფერენციაციის ძალით, ერთმანეთს უფრო მჭიდროდ მიეკვრებიან. ამის მოხდენილ მაგალითს იძლევა ისტორია საშუალო საუკუნეთა ფეოდალურ მონარქიების გადასვლისა ახალ დროის ეროვნულ სახელმწიფოების ფორმაში. ექსტენსიურ ზრდასთან ერთად იცვლება საზოგადოებრივი ორგანიზაციის რაოდენობითი შემადგენლობა, ინტენსიურ ზრდასთან ერთად კი - თვით ხარისხი ორგანიზაციისა.

უმეტეს შემთხვევაში საზოგადოებრიობის ინტენსიური ზრდა მჭიდროდ არის დაკავშირებული ექსტენსიურ ზრდასთან და წინააღმდეგ. მაგრამ მოხდება ისედაც, რომ ექსტენსიური გაზრდა საზოგადოებრიობისა ინტენსიურობის გაძლიერებას კი არა, მის დასუსტებას იწვევს. სიგანეზე გაწევა საზოგადოებრიობის დაჭიმულობას ანელებს. მოვიყვან ორად ორ მაგალითს, რომელიც ამ აზრს ასაბუთებს:

1) რუსეთის საზოგადოებრიობის სიღრმითი განვითარება შეაყენა ციმბირისა და ვოლგის გაყოლება რაიონების შეძენამ. რადგანაც რუსეთის ცენტრალ გუბერნიებიდან დიდძალი მოსახლეობა წაიტყუა. როგორც სხეულის გაგანიერება-გაფართოვებას მოჰყვება ხოლმე მისი ტემპერატურის დაწევა, აგრეთვე საზოგადოების საზოგადოების ტერიტორიული გაფართოვება, ათხელებს რა საზოგადოების შემადგენლობას, ამცირებს საზოგადოებრიობის ინტენსიურობას ექსტენსიური ზრდა ასუსტებს მჭიდროობას საზოგადოების წევრებ შორის და ამით უარყოფით ზედგავლენას ახდენს საზოგადოებრიობის ტიპზე, მაშასადამე კულტურაზედაც.

2) საზოგადოების სხვა და სხვა საფეხურზე მდგომი ორი საზოგადოებრივი ჯგუფის შეერთება დაბლა სწევს უფრო განვითარებული

ჯგუფის საზოგადოებრიობას. მაკედონიის მიერ საბერძნეთის დაპყრობა საუკეთესოდ ასურათებს ამ აზრს.

თქმა არ უნდა, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ადგილი არ აქვს მოვლენათა იმ უთუო და მექანიკურ ურთიერთ-დამოკიდებულებას, რასაც, მაგ. ფიზიკის სფეროში ვამჩნევთ. მტკიცე დეტერმინიზმი პრინციპადაც რომ დაგვედო საზოგადოებრივ ცხოვრების მოვლენათათვის მაშინაც ამ მოვლენათა სირთულის გამო, იძულებული ვიქნებოდით ზღუდული განმარტება მიგვეცა აღმოჩენილ სოციალ კანონებისთვის. აი რატომაც არ შეიძლება მაინცდამაინც იმის დამტკიცება, რომ საზოგადოებრიობის ყოველგვარი ექსტენსიური ზრდა მის ინტენსიურობის დაქვეითებას გამოიწვევსო. მოყვანილი მაგალითები ამტკიცებენ მხოლოდ იმას, რომ ამგვარი შემთხვევები შესაძლებელია, რომ შეიძლება ჯგუფთა გამყოფ კედლების მოსპობამ საზოგადოების გაძლიერება კი არა, მისი შესუსტება გამოიწვიოს.

და რადგანაც საზოგადოებრიობის განსაზღვრული ინტენსიურობა აუცილებელი პირობაა თვით საზოგადოების არსებობისათვის, ამიტომ ცხადია, რომ როდესაც საზოგადოებრიობის ექსტენსიური ზრდა მისავე ინტენსიურობას ნაჩვენებ ხარისხზე უფრო დაბლა ჩამოიყვანს, მაშინ საზოგადოება აუცილებლად უნდა დაიშალოს, ამასთან ერთად უნდა დადგეს ხანა მისი კულტურული რეგრესისა. ის აზრი, რომ საზოგადოებრიობის ექსტენსიური გაფართოვება ცუდად იმოქმედებს მის ინტენსიურობაზე, მთავარი გასამართლებელი საბუთია იმის რომ დიდ სივრცის სახელმწიფოში საჭიროა მოხდეს პოლიტიკური ხელმწიფების დეცენტრალიზაცია. ეს აზრი იმის საბუთია, რომ საჭიროა წვრილ ორგანიზაციებს მიეცეს ერთგვარი დამოუკიდებლობა, რათა ფართედ ისარგებლონ ამ დამოუკიდებლის უფლებით და უფრო შეამჭიდროვონ მათ ორგანიზაციაში მოქცეული ხალხი. ეს მოსაზრებანი უნდა წარმოადგენდნენ მთავარ არგუმენტს იმ პირებისათვის, ვინც იცავს პატარა ეროვნებათა თვითგამორკვევის უფლებას. ეროვნება-სარკმელია მსოფლიო საკაცობრიო კულტურაში შესავლელად. ეროვნების აზრი ისაა რომ ადამიანთა ურთიერთობა გაინტენსიუროს და რომ საზოგადოებრიობის ექსტენსიურ ზრდას არ ჩამოაქვეითებინოს მისი ინტენსიურობა და მაშასადამე, არც მისი კულტურა.

ჩვენს წერილებში გვწადია ქართველი ხალხის თანამედროვე მდგომარეობის მოკლე დახასიათება იმ საფუძვლის კვალობაზე, რომელიც ზემოდ წამოვაყენეთ და რომელიცაა კულტურულ და საზოგადო-

ებრივ განვითარების ხარისხობითი ურთიერთობა. გამოსავალ წერტილად მიჩნეული იქნება ჩვენი საზოგადოებრიობის მდგომარეობის განხილვა.

„საქართველო“, 1 ოქტომბერი, 1915 წ, № 106.

II.

ას თოთხმეტმა წელმა განვლო, რაც საქართველოს სამეფო თავის ნებისაებრ რუსეთის იმპერიას შეუერთდა. ეს ხანი საკმარისია რომ შესაძლებელი იყოს ამ შეერთების შედეგების დაფასება.

ქართველი ხალხი ავანგარდობდა, გარემოების ძალით, იმ ქრისტიან ხალხებს, რომელთაც ისლამის მახვილი მოსვენებას არ აძლევდა. მძაფრი ისლამი ყოველის მხრიდან აწვებოდა საქართველოს მცირე რიცხვოვან ხალხს: ჩრდილო-სამხრეთით და დასავლეთ-აღმოსავლეთით. დაუსრულებელმა ომმა და მტერთა აღმგველმა შემოსევამ თან და თან შეამცირეს რიცხვი ქართვლისა, შეასუსტეს მის ძლიერება და ჩამოაქვეითეს მისი კულტურული დონე. არსაიდან გამოუჩნდა მშველელი. მეზობლად გარს ერტყა ოსმალეთი, სპარსეთი, თათრების სახანოები და მთელი მაჰმადიანები. ირგვლივ რკალივით გარს შემოჭდოდა შეურიგებელი ისლამის ალყა. ასეთმა ვითარებამ ქართველი ხალხი გამოუთქმელ გასაჭირში ჩააგდო. ორში ერთი: ან უნდა შერიგებიყო გარშემორტყმულ მტერთა შორის ათქვეფას და ხელი აეღო ეროვნულ ხასიათის ძირითად არსებაზედ - ქრისტეს რჯულზედ, ან კიდევ მტკიცედ დასდგომოდა ეროვნულ სახის უცვლელად შენახვას და ეძებნა მოკავშირე, რომელიც ადრინდელ მფარველ ბიზანტიის იმპერიის მაგიერობას გაუწევდა. საქართველომ არჩია ეს უკანასკნელი და შეუდგა კიდეც მოკავშირედ სარწმუნოებითი მონათესავე ხალხის ძებნას. ამ მხრივ რუსის ხალხი და რუსეთის იმპერია ყველაზედ უფრო მოხდენილი იყო. საქართველომ გადაწყვიტა ებრძოლა ბოლომდე ეროვნულ თვითარსებობის განსამტკიცებლად. ეს გადაწყვეტილება მოითხოვდა დიდს ენერგიასა და ძალას; მოქანცული და ღონე მიხდილი საქართველო არ დაერიდა ამას. არ იყო ჩვეული სასოწარკვეთილებას მისცემოდა და სულ მდაბლად ფარ-ხმალი ძირს დაეყარა. იტვირთა ომის და ბრძოლის ახალი ტვირთი, რომელიც შეიძლება, ადრინდელზე უფრო ძლიერი გამომდგარიყო. რომ არ დაჰკარგოდა ეროვნული არსება, იგი ახალ მსხვერპლს არ დაერიდა.

რუსეთთან ხანგრძლივმა ურთიერთობამ დაარწმუნა ქართველი ხალხი, რომ რუსეთისაგან რეალი დახმარება და ძალა ისე არ მოუვიდოდა, უკეთუ საქართველო თავის სუვერენობას არ გამოეთხოვებოდა. საქართველო არც ამას დაზარდა. იგი ყაბულს გახდა რუსეთის იმპერიის ვასალად გადაქცეულიყო, ოღონდ ამ აქტით ეხსნა განსაცდელისაგან და დაეცვა საქართველოს ეროვნული ხასიათი.

მაგრამ საქართველო საუბედუროდ გაიკვანძა მრავალ არა-ხელსაყრელ გარემოებაში.

ყველა ამან დღე მოუსწრაფა საქართველოს ვასალურ დამოკიდებულებას.

მაგრამ ეს მოვლენა საქმის არსებით მხარეს არ სცვლიდა. და თავისუფლების მოყვარე ხალხი არ ამხედრდა რუსეთში სრული გათქვეფის წინააღმდეგ, ეს იმისთვის მოხდა, რომ იმედი ჰქონდა, ეროვნული შერყეული საძირკველი გამაგრდებოდა.

თვით რუსეთის სახელმწიფოს წარმომადგენლებს თითქოს კარგად ესმოდათ ქართველი ხალხის გულის ზრახვა და მისწრაფება და თანაუგრძნობდენ კიდეც. სხვანაირად შეუძლებელი იყო ალექსანდრე I-ის ცნობილი მანიფესტის გაგება, სადაც პირდაპირ ნათქვამი იყო, რომ მხოლოდ საქართველოს კეთილდეობის გულისათვის მივიღეთ იგი ჩვენს ქვეშევრდომადო. და რა უნდა ყოფილიყო ერის კეთილდღეობა, თუ არ დაცვა, ყოვლის უწინარეს, ეროვნული ინდივიდუალობისა?

ისტორიამ არ გაამართლა არც ქართველი ხალხის მოლოდინი და არც რუსის მთავრობის აღთქმანი. მართალია, სახელმწიფომ დაიცვა საქართველო ისლამის შემოსევისაგან, დაუსრულებელ ომიანობის დრომ გადიარა, დადგა თითქოს მშვიდობიანი, აღორძინებითი მუშაობის ხანა. მაგრამ ამან ოდნავადაც ვერ გაამდიდრა ქართველი ხალხის ეროვნული შინაარსი.

ვინც კარგად იყო გაცნობილი რუსეთის სახელმწიფოს შინაურ წყობილებასთან, რომელიც აგებული იყო ცენტრალიზმის პრინციპზე, მას ჯერ კიდევ 1801 წელში შეეძლო ეწინასწარმეტყველებინა სატირალი შედეგები რუსეთთან შეერთებისა. ამისდა მიუხედავად უმრავლესობისათვის ეს შედეგები სრულიად მოულოდნელი გამოდგა, იმდენად მოულოდნელი, რომ დიდხანს არც კი ვამჩნევდით, თუ არ გვინდოდა შეგვემჩნია, უტყუარი ფაქტები ამ შედეგების.

რუსეთთან შეერთებით საქართველოს ეროვნულმა მთლიანობამ პირველ ყოვლისა დაჰკარგა პოლიტიკური ხასიათის სარჩული[1]. საქართველო დაჰყვეს გუბერნიებად. ამ გუბერნიების საურთიერთო კავშირი იმ კავშირზე მჭიდრო არ გამოდგა, რომელიც სუფევს მაგ. ამავე გუბერნიებსა და იმ გუბერნიებს შორის, სადაც სჭარბობს არა-ქართველი ელემენტი. ქუთაისის გუბერნია იმდენად ახლოა ყუბანის ოლქთან, რამდენადაც თბილისის გუბერნიასთან. პოლიტიკური ცხოვრების ცენტრი პეტროგრადს იქმნა გადატანილი, ხოლო კავკასიის ოლქობრივი საადმინისტრაციო დაყოფილებანი სრულებით ყურადღებას არ აქცევენ ეროვნულ თავისებურობათ.

ქართველი ხალხი, რომელსაც გამოეცალა თავის მთლიანობის პოლიტიკური საფუძველი, ჰკარგავდა აგრეთვე სხვა შემაერთებელ ეროვნულ ძაფებსაც. წარსულის საქართველოსთვის ერთობ დიდი იყო სარწმუნოების ეროვნულ-კულტურული მნიშვნელობა.

სარწმუნოება გახდა-რა გაუვალი უფსკრული ქართველ ერსა და იმ მაჰმადიან ხალხთა შორის, რომლებიც მას გარს ერტყენ, უდიდესი როლი ითამაშა ქართველ ტომების ერთ ქართველ ეროვნებად დადუღების საქმეში. ქრისტიანობამ წარუშლელი ბეჭედი დასდო ქართველთა ეროვნულ სახეს. სულიერი თუ პოლიტიკური ინტერესი, რომელიც ქართველ ერის წიაღში დაიბადებოდა, ამ სარწმუნოების მიხედვით იყო გაშუქებული. ცივილიზაციის წყაროს თუ პოლიტიკურ ყოფაქცევის პროგრამას რელიგია აძლევდა ქართველობას. ამ უაღრესად ჯვაროსან ერის ღერძად თამამად შეიძლებოდა აღსარებული ყოფილიყო ქრისტიანობის პრინციპის დამცველი ჯვარი და მახვილი. ქრისტეს სარწმუნოების ნიადაგზე აღმოცენდა საქართველოში სხვადასხვა ეროვნულად მომგვარებელი დასაბამი: ქართული ხელოვნება, ქართული მწერლობა და ქართული განათლება ძველის ძველ დროიდან საზრდოობდა ქარ-

[1] მართალია, რუსეთთან შეერთებამდეც საქართველო არ წარმოადგენდა ერთ პოლიტიკურ მთელს. ამ გარემოებას, რა თქმა უნდა, შეჰქონდა შესამჩნევი დისონანსი ქართველთა ეროვნულ სოლიდარობაში. ხოლო მომდგარ ხიფათის წინაშე, ეროვნული მთლიანობის გრძნობა ხანდახან ისე ძლიერ იფეთქებდა, რომ ყველას ავიწყდებოდა შინაური აყალ-მაყალი და განხეთქილება. ის ფაქტი, რომ მთელი ქართველობა ირგვლივ გარემოცული იყო ურიცხვ მტრებით, ამახვილებდა ეროვნულ თვითშეგნებას პოლიტიკურ მხრივაც.

თველი ხალხის რელიგიურ შეგნებით. საკმარისია გონების თვალით აღვადგინოთ დღეს ნანგრევებად ქცეული ქართული მონასტრები, ეკლესიები, ციხე-კოშკები, საკმარისია თუნდაც ზერელეთ გავეცნოთ ქართულ მწერლობის ისტორიას, რომ დავრწმუნდეთ მათ მაღალ კულტურულ ღირებულებაში.

ხოლო დღიდან რუსეთთან შეერთებისა საქართველოსთვის რელიგიამ დაჰკარგა ეროვნული დუღაბის ძალა, - პირველ ყოვლისა თუნდაც იმიტომ, რომ რელიგიას დაეკარგა მის თვალში საერთოდ რაიმე გვარი ძალის ღირებულება. ქართველი ხალხი დღეს თითქმის ინდიფერენტულად უცქერის იმას, რაშიაც გუშინ იგი ჰპოებდა თავისი ეროვნული ხასიათის არსებას. ქართველ ხალხში სარწმუნოებრივი შეგნების დასუსტებას მრავალი მიზეზი აქვს. ამ მიზეზთა შორის უმთავრესი ადგილი უჭირავს შემდეგ ორს გარემოებას.

პირველი ის გახლავთ, რომ თანამორწმუნე რუსის ხალხთან პოლიტიკურ ერთობის განმტკიცებას არ შეეძლო არ შეესუსტებინა და არ მოებეგვა ქართველთა სარწმუნოებრივი სიმახვილე. სარწმუნოებრივი შეგნება, ისე როგორც ყოველის პსიხოლოგიური განცდა, ექვემდებარება შედარებითობის პსიხოლოგიურ კანონს. მისი ძლიერება დამკვიდრებულია გარემოზე. ქრისტიანობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევდა და ხალხშიაც რელიგიურ გრძნობას განამტკიცებდა ის გარემოება, რომ რუსეთთან შეერთებამდე, ქართველობას გარს ერტყა მხოლოდ მარტო მაჰმადიანობა და თავის თავს ობლად გრძნობდა. მაჰმადიანური გარემო ამ გვარად მკვეთრად ავლებს ქართველ კაცის შეგნებაში ქრისტიანულ სარწმუნოებას და უძლიერებდა სარწმუნოებრივ შეგნების ინტენსიურობას. ქართველი ხალხის შეუწყვეტელი ბრძოლა მუდამ ქრისტეს მოძღვრების გულისთვის სწარმოებდა. გასაგებია, რომ მარად გაღებული მსხვერპლი ქართველისთვის განსაკუთრებით ძვირფასს და საყვარელს ხდიდა იმ რელიგიას, რომელსაც ხალისით ეწირვებოდა უთვალავი სიცოხლე. გაქრა ყოველივე ეს დღიდან რუსეთთან შეერთებისა. ქართველმა ხალხმა ერთბაშად თავი ამოჰყო ქრისტიანეთა წრეში. შეუძლებელია ამ გარემოებას არ შეესუსტებინა ქართველი კაცის რელიგიური განცდის ინტენსიურობა.

მეორე გარემოება ის გახლავთ,რომ მთავრობის მოპყრობა საქართველოს ეკლესიის მიმართ ასუსტებდა ქართველი ხალხის სარწმუნოებრიობას. მიუხედავად არა ერთგზობა აღთქმისა, რომ საქართველოს ეკლესიის თავისთავადობა დაცული იქნებოდა, გაუქმებულ იქმნა ავ-

ტოკეფალია, რომელიც დამტკიცებული იყო მეექვსე მსოფლიო კრების მიერ.

დაეცა სამღვდელოების ზნეობრივი და გონებრივი დონე. არც ერთ ქრისტიან ქვეყანაში სამღვდელოება არ არის ისე დასაწყლებული, როგორც ჩვენში, საქართველოში.

შეუძლებელია, ყველა ამას უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა ქართველ ხალხის რეალურ გრძნობაზედ. კვირა - უქმე დღეებში ეკლესიები ცარიელია. და ამ ბოლო ხანებში თავის სულიერ მოძღვარს უყურებს როგორც უბრალო მოხელეს, რომლის მთელი დანიშნულებაა მეტრიკის წიგნის წარმოება და სხვა არაფერი. და ქართველიც ეკლესიაში იმიტომ მიდის, რომ ამ წიგნებში, საჭიროებისამებრ, ჩაეწეროს. სხვა დროს ეკლესია მას არ ესაჭიროება. ვინც თანამედროვე საქართველოს შეხედავს, ძნელად დაიჯერებს რომ ეს ქვეყანა ძველად დიდი მორწმუნე ქვეყანა იყო და რომ იგი, შეურყეველის სიმტკიცით იცავდა ქრისტეს რჯულს.

რაკი ქართველის შეგნებაში სარწმუნოებამ დაჰკარგა თვის ძალა, ცხადია მას არ შეუძლია ქართველი ხალხის დუღაბის დანიშნულება შეესრულებინა. რელიგიურ გრძნობის მოდუნება გადავიდა რელიგიურ ინდიფერენტიზმში, ხალხის შეგნებაში ქრისტიანობამ დაჰკარგა ეროვნული მნიშვნელობა, რადგანაც მან დაჰკარგა საზოგადოდ ყოველგვარი მნიშვნელობა. ხალხისთვის ეს დიდ უბედურებად უნდა ჩაითვალოს წმინდა უტილიტარული თვალსაზრისით, რადგანაც ერთობისა და გაერთიანების მაგიერ, თუნდაც მარტოკა რელიგიურ ნიადაგზე, აღმოცენდა გათიშულება და განცალკევება, რასაც კულტურის რეგრესი მოსდევს ხოლმე.

იმ მთავარი არტერიის დასუსტებას, რომელიც ჰკვებავდა ეროვნულ ერთობას, უნდა მოჰყოლოდა სხვა ეროვნულ-შემაერთებელ ძალების დაქსაქსვა და დაკნინება, დაეცა და დაკნინდა ჩვენი ხელოვნება, ჩვენი ლიტერატურა, ჩვენი ეროვნული სკოლა. თანამედროვე ქართული ლიტერატურა ააშკარავებს შემოქმედებითი ძალების მისუსტებას. ჩვენ ყველანი ვსაზრდოობთ ქართული მწერლობისა და ხელოვნების ოქროს ხანის მოგონებით.

თანამედროვე ქართული ლიტერატურული ნაწარმოება თუ შინაარსის ორიგინალობის, თუ ფორმის ორიგინალობის მხრივ ნათლად მოწმობს ჩვენი ეროვნული შემოქმედების ძალის დაკნინებას. უხეირო მიმბაძაობა და უნიჭობა თაყვანისცემა უცხოთა, რაიც ბატონობს ჩვენში,

დამცხრალი შემოქმედებითი სულის ერთად ერთი საფანელია. ქართველ მწერალთა მომეტებულ ნაწილს აერთებს უფრო უცხო მწერალთა იმ სანიმუშო ნაწარმოებთა თაყვანისცემა, რომელთაც ისინი ბაძავენ. ძალიან დასუსტებულია, თუ სულ გადავარდნილი არა, გრძნობა ეროვნული მწერლობის განვითარების მემკვიდრეობისა.

ბევრს ვლაპარაკობთ, რუსთაველზე, ხონელზე, ჩახრუხაძეზე და შავთელზე, მაგრამ არა გვაქვს ძალა და შეძლება, ხელის შემშლელ გარემოს გამო, განვაგრძოთ მათი საქმე, და თავს ვირთობთ მეტერლინკის თუ ბალმონტის მიბაძვით, გაჯავრებით. ამ მოვლენის ახსნას რამოდენიმეთ უნდა ვეძებდეთ ხალხის ცხოვრებაზე ქართველ ინტელიგენციის დაშორებაში. ამაზე საუბარი ქვემოდ გვექნება. მწერლის შემოქმედება ასეთ შემთხვევაში, რასაკვირველია მოკლებული იქნება ეროვნულ მნიშვნელობას. ეროვნული, როგორც მწერლობაში, აგრეთვე კულტურის ყველა დანარჩენ დარგშიც თვით არსი რაღაცაა, რომელიც ძევს ხალხის შეგნების სიღრმეში და რომელსაც გარედ გამოაკრთობს ხოლმე ინდივიდური შემოქმედების სიძლიერე.

შოთა რუსთველის სული, რომელსაც ასე ეწაფვიან ჩვენი მწერლები, დიდი ხანია ეროვნულ სიმდიდრედ არის გადაქცეული და დღეს იგი განისვენებს ხალხის ცხოვრების ქვეცნობიერ სფეროში, და ვისაც სწადია ამ სულის გარედ გამოშუქება, ის უნდა მისწვდეს ხალხურ შეგნების უღრმეს საფუძველს. აი იქ ხალხის ცხოვრების სიღრმეში ჩაფლულია ჯადოსნური ძალა, რომელსაც შეუძლია მწერლის შემოქმედება აამუშაოს. მაგრამ თანამედროვე ინტელიგენტ ქართველს სად შეუძლია იოცნებოს, ხალხის ცხოვრების სიღრმეს მისწვდეს და ეზიაროს?

ჩვენი ლიტერატურული აღორძინება მომავლის საქმეა. დღეს-დღეობით კი სინამდვილეს თვალი უნდა გაუსწოროთ და ვაღიაროთ მისი დაკნინება.

ეროვნული ერთობის მთავარ ფაქტორების შესუსტებას, ცხადია, უნდა მოყოლოდა ხალხის ეროვნული შეგნების დასუსტებაც.

ამის გამო ეროვნულ სხეულის ჭახრაკები მოეშვა და ერს ემჩნევა ტენდენცია ცალ-ცალკე ინდივიდუმად დახურდავდეს და დაიშალოს.

ს. დარიანი.
„საქართველო“, 9 ოქტომბერი, 1915 წ. № 112.